ლელო

№ 37
(12 005)

19 – 22 მაისი, 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

მარჯი საქართველოს!

ბიძინა გუჭაბიძის ანგარიშზე კიდევ ერთი რვაათასიანი

სასიხარულო ცნობა მივიღეთ ჰიმალაიდან – მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა პროფესიონალმა მთამსვლელმა, აღ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის დირექტორმა, ვახტანგ გორგასლისა და ღირსების ორდენის კავალერმა, მრავალი ურთულესი მწვერვალის დამპყრობმა, „თოქლის ჯიქის“ სპორტო ტიტულის მფლობელმა ბიძინა გუჭაბიძემ პიმალაების კიდევ ერთი „რვაათასიანი“, მწვერვალი ჩო ოიუ დალაშქრა და კვლავ გაახარა ქართველი გულშემატკივარი.

ბიძინა გუჭაბიძე ჩო ოიუ პირველად, 1954 წელს, სახელგანთქმულ შერპა პაზანგ დაჟა ლამასთან ერთად დალაშქრეს ტიხიმ და იოსელრმა, ხოლო ამ ისტორია იქნებან დაიწყო, რომ ა.წ. 12 აპრილს, ხეხუთი ალპინისტური კლუბის “Mountain Breath”-ის მოწვეულთ, ბიძინა გუჭაბიძე ნებალში გაფრინდა თავის ჩეხ მეგობრებთან შესახვედრად, რათა ერთობლიეი ძალით შეეტიათ ჰიმალაების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მწვერვალისათვის, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 8153 მეტრია (სხვა მონაცემებით კი 8189 მ.).

იმავე დღეს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც 10 ჩეხი და ერთი ქართველი მთამსვლელი შედიოდა, ტიბეტში გადაფრინდა და დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მწვერვალზე ასასვლელად.

ექსპედიციამ, საბაზო ბანაკი ზ.დ. 5700 მეტრზე მოაწყო და აკლიმატიზაციის შემდეგ, რამდენიმე დღე აქ გაატარა. 28 აპრილს, ბიძინა გუჭაბიძე, უქუს თანაკუნდელთან ერთად, საბაზო ბანაკიდან გავიდა 6400 მეტრ სიმაღლეზე პირველი ბანაკის მოსაწყობად. რამდენიმე დღიანი შესვენების შემდეგ, მეორე ბანაკი გამართეს 7100 მეტრზე. აქ, ბიძინას და ერთერთმა ჩეხმა მთამსვლელმა დამე გაათენეს და 6 მაისს, დილით გავიდნენ 7500 მეტრ სიმაღლეზე, ბოლო – მესამე ბანაკის მოსამზადებლად. სრუ Ob. 80-2 83.

ჩემპიონატი დამთავრდა, ჯერი გარდამავალი თასის გათამაშებაზე

ბილიარდი

გარამ ჭილოშვილი

ნიკოლა დოლიძე

საბილიარდო კლუბი „იმპერიალი“ სპორტის ამ სახეობაში სხვადასხვა რანგის შეჯიბრებების მასპინძლობით გამორჩეცა და ეს არცაა გასაკვირი — აქ ყველაფერია ტურნირების მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ერთ-ერთმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **დავით აღლაძე**) ამ დღეებში „იმპერიალში“ საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარა „პულში“ — სახეობა 9-ბილი, როგორც ვაჟის, ისე ქალთა შორის.

ვაჟებში ჩემპიონობისთვის რჩეულთა შორის ჩრეულნი, ანუ რეიტინგით ყველაზე საუკეთესო 16 სპორტსმენი იბრძოდა.

გამოცდილ ოსტატებს შორის ფინალურ ჭიდილში ჩემპიონის ტიტული წილად ხვდა გურამ **ჭილოშვილს**, რომელმაც ფინალში მოუგო **გიორგი რეგაძეს** — 11:6. მესამე ადგილზე გავიდა **ივანე მელითაური**.

ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ნათია **დოლიძე**, რომელმაც ფინალში სძლია **თიკო ომნაძეს** — 9:6. მესამე საჩინო ადგილზე გავიდა **ელენე შოკი**.

ამავე კლუბში პირველად ჩატარება საქართველოს ბილიარდის ეროვნული ფედერაციის გარდამავალი თასის გათამაშება. ტურნირის საპრიზო ფონდი 2500 ლარია.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი მწუხარებით ატყობინებს, რომ გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე, მწერალი და სპორტის ხელმძღვანელი მუშაკი, აჭარის ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდის ყოფილი უფროსი მწერალი, სპორტის დამსახურებული მუშაკი

ბიძი ქოზიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მუშაკვერებმა საერთაშორისო დიბრუნეს...

ვახტანგ ფეიქრიანის პრეზენტაციის პრეზენტერი ვეძე ჩანი მოეკონა ორსულ ცოლთან.

ფარაკობა საქართველოში კვლავ ბრუნებს საერთაშორისო ტურნირების მასპინძლობის ტენდენციას, რაც უპირველესად სპორტის ამ სახეობის ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **ა. ჯოგელია**) დამსახურებაა. ამ დღეებში თბილისში 130 იუნიორ მოჭიდაკეს მიეცა თავისი ოსტატობის დემონსტრირების შესაძლებლობა. ტურნირში მონაწილეობდნენ საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის წარმომადგენლები. ჩვენები ბოლო წლებში სისტემატურად სტემრობდნენ ირანში გამართულ ტურნირებს და მასპინძლები გვერდებს ვერ ფარავდნენ თუ რატომ არ ტარდებოდა საქართველოში ამგვარ საერთაშორისო შეჯიბრებები. ალბათ, მეზობელი ირანის მოფარიკავეებსაც აფასრულდათ სურვილი.

ტურნირი დიდების მძლეოსნობის ბანგში ჩაერთო. ფედერაციის პრეზიდენტის უშუალო დახმარებით შეიძინეს ალემანის ბილიკების 4 კომპლექტი, რომელიც ფედერაციამ საჭიროდ გამოაცხადა რამდენიმე ელექტრონული ფიგურის და ელექტრონული ინვენტარი. **ბ. პატარაცენიშვილმა** ფედერაციას შეეძინა ფორმა და ინვენტარი.

სტუმრები კმაყოფილები დარჩნენ, როგორც შეჯიბრების მაღალი დონით, ისე სტემართმოყვარეობით.

განსაკუთრებით სანტერესო და უშეცდომო გამოდგა ხმლით მოფარიკავეთა ასპარეზობა პირველობისათვის **ნიკოლოზ ბახსოლიანსა** და ირანელ **იმინ ხორბანს** შორის. ჩვენი მოფარიკავე იგებდა 7:1, შემდეგ 12:8, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა სტუმართან 15:13.

კვარცხლბეკი. რაპირა. ჟოგორები: 1. ნიტო კობაშვილი, 2. ანა მწიკლაძე, 3. მადონა ჩაბრაძე და რუსუდან წორკვაძე (ყველა — საქ.). **ჭაბუკები:** 1. მიგრან კაზარიანი (სომხ.), 2. სანდრო სიხარულიძე (საქ.), 3. ვანდი ბზმალი და ხაშიდ ნაგაფი (ორივე — ირანი); **დაშნა. გოგონები:** 1. ქეთევან სილაგაძე, 2. ქეთევან ჭაფიანიძე, 3. ნათია ჩაჩნიანი (ყველა — საქ.). **ჭაბუკები:** 1. დავით ელბაქიძე, 2. ანდრეი აკავი (ორივე — საქ), 3. მიქაელ კაზარიანი (სომხ) და არაშ ნიზადი (ირანი); **ხმალი. გოგონები:** 1. აიდა ალასკაროვა, 2. სვეილ ბუნიატოვა (ორივე — აზერ.), 3. თეოდორა ცახიანი (საქ) და სონა მამადოვა (აზერ.); **ჭაბუკები:** 1. იმინ ჩორბანი (ირანი), 2. ნიკოლოზ ბახსოლიანი, 3. კაბაერ მაღარაქი (ორივე — საქ) და ჰამედ ხალეჯი (ირანი).

ფოტო რობერტ ბაგოთანისა.

მილოცვა

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადებიდან 70 წლისთავს ულოცავს სპორტის ვეტერან მუშაკს, ტანვარჯიშში საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს, ღირსების ორდენოსანს **თემურ ასათიანს.**

ღღეს, ხვალ, ზეგ...

დღეს საღონიკში იწყება სამბოში ევროპის პირველობა ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ორივე ნაკრებს და დელეგაციას ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ოლეგ ბაძე** უხელმძღვანელებს.

დღეს თბილისის მოსწავლეთა და ახალგაზრდობის სასახლეში შედგება მსოფლიო ელჩოგაზაფხულის და გიგნების მრავალგზის რეკორდსმენის ჭუმბერ ლეკვას სამრეთ პოლუსზე გაგზავნების პრეზენტაცია.

დღეს და ხვალ „ქარიშხალს“ სპორტმოკლეშში კარატეს ეროვნული ფედერაცია ატარებს კატასთის და ბრძოპინტებს.

ხვალ ანა ბაჟის სოფელ მუხათში გაიმართება ამ ღელეწდარული ქართველი მოქიდავე ქალის სახელობის ფალავნობა ქართულ ჭიდაობაში.

ხვალ ბიძინა გუჭაბიძე საქართველოს ღია ჩემპიონატი კარატეში WKF-ის წესებით.

კალათბურთი ვაჭთა ეროვნული ჩემპიონატი

ჩემპიონს მეხუთე მატჩი გამოავლენს

თამამად შეიძლება ითქვას, საქართველოს სპორტულ ცხოვრებაში, ანუ იმ მოვლენებს შორის, რაც ქვეყნის შიგნით ამ სფეროში ხდება, ყველაზე მნიშვნელოვანად იქცა კალთბურთში ეროვნული ჩემპიონატის ხუპერფინალის მატჩები. ეს ეხება როგორც ჩემპიონობისთვის, ისე შესაძე საპრიზო ადგილისთვის მებრძოლ ჯგუფებს.

ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლაში „ნიკორა“ – სტუ-ს შესამე დაპირის პირების წინ სერიაში ანგარიში იყო 1:1 (შეგახსენებთ, რომ საბოლოოდ იმარჯვებს გუნდი, რომელიც სამ მოგებას პირველი მიითვლის). ხსენებული მატჩი უადრესად დაძაბული გამოდგა. თსუ-„ნიკორა“ აგებს პირველ და მესამე მეოთხედს შესაბამისად – 14:25 და 18:31 მაგრამ იგები დანარჩენ მეოთხედებს შესაბამისად – 22:18, 32:12 11:9 სულ რაღაც 2 ქულის ხვეთობით და წინაურდება სერიაში – 2:1. როგორც ხედავთ, ძირითადი დრო მთავრდება ფრედ – 86:86 და მხოლოდ ოვერტაიმში აღწევს მინიმალურ უპირატესობას თსუ-„ნიკორა“ – 97:95.

ჩემპიონობისთვის მებრძოლთა მესამე დაპირისპირებაში რუსთავის „აზოტმა“ თავისი ენერგიულად მხარდამჭერებისაგან კარგად გამოიყენა მასპინძლის უპირატესობა და „აკაკი შენთან“ პაექრობაში სერიაში პირველ გამარჯვებას მიაღწია – 93:68 (15:14, 24:16, 26:19, 28:19).

გუშინ ამ გუნდების შეხვედრა რუსთაველ კვლავ მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა 77:58, რითაც სერიაში ანგარიში გათანაბრდა – 2:2 და ჩემპიონის ვინაობის გამოსავლენად საჭირო გახდა გადამწყვეტი მეხუთე შეხვედრა.

მიმოხილველი

გუშინ ცაგურიამ ბაქაქაძეს სძლია

სომხეთი ნაგორნაში მიმდინარე მაისის ბაზრზე **ლევან ცაგურია ლოკაი** შეთე შეხვედრაში მეცამეტე მაგებარი **ტორნოსიანს** დაუპირისპირდა და მეტოქეს 9 წამში თავის საფარელი ილეთით — „ოშიდოშით“ ტრიალის ძლიერი ბიგით მეტოქის გაყვანა დიპლომის მოიტანა. შემდეგი შეჯიბრება ქართველ პრიზიორისთან მეფიორმატში მაგებარია **ჰოვანისიანთან** 3 წუთში. ძალისმიერი ლეთების ცასკადით კოკაინ ეს მეტად დაძაბული ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა და მოგება-წაგების ბალანსი დადებითი გახდა — 6:5.

გუშინ ჩვენებური მეოთხე მაგებარი **ბაქაქაძეს** შეხვდა და მორიგ წარმატებას მიაღწია.

სურათზე სწორედ ამ შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

გაზეთის დაბეჭდვამდე:

ჩემპიონთა ლიგის ფინალის არბიტრი: „შესაძლებელია, შევცდი“

უეფას ჩემპიონთა ლიგის მთავარმა არბიტრმა, ნორვეგიელმა **ტერე ჰაუგემ** განაცხადა, რომ შესაძლებელია, „არსენალის“ გოლყარეტი **ედნს ლემანთან** დაკავშირებული ეპიზოდში... ირკვია.

„ბატის შემდეგ შეიფასე რამდენჯერმე ეს ეპიზოდი და მიეცი დასკვნამდე, რომ შესაძლებელია, ვერპრა... კიდევ რამდენიმე წამი რომ ჭქონოდა მოსათვრებად, ალბათ, დაენშიგდი საკითხის, ხოლო გოლყარის ეუნერებები არა წეიდეს, არამედ ფიიდეს ბარალს,“ — ამბობს პაუგე. მისი თქმით, ფიზიკური კონტაქტი მოთამაშეებს შორის ნამდვილად იყო.

„კარად მესმის, რომ „არსენალის“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი დიდი მღელვარებით იწყებოდა, ისიც მესმის, რომ ამ გენდის მოთამაშეები ძალიან გულდაწყვეტილი არიან, მაგრამ, ეფიქრობ, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ყველაფერი დაწყნარდება, შეიძლება აღვიარტურად გავარჩიოთ ეს ეპიზოდი“ — თქვა არბიტრმა.

რუბრიკას უძღვება მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ საღარაძე.

ბრისუფი კუნიშვილი

გასული საუკუნის 70-იანი წლების ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდა თაობამ ღირსეულად წარმოაჩინა თავისი შესაძლებლობები როგორც შინ გამართულ ასპარეზობებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალგაზრდებისთვის უფროსი მეგობრების არა მხოლოდ სპორტულ წარმატებებს, არამედ ცხოვრების იმ წესს და რიგს, რაც თაობიდან თაობაში სულ უფრო და უფრო სრულყოფილად გადადიოდა. 70-იანი წლების უფროსი და უმცროსი თაობის ფალავნები მეტწილად ერთად, ერთ დარბაზში ვარჯიშობდნენ, ერთად დადიოდნენ შეკრებებზე და არცთუ იშვიათად — შეჯიბრებებზეც კი.

1973 წელს, მაგალითად, ჭ. ხელიაბინჭის სსრ კავშირის თასის გამოშაშება დიდებსა და ახალგაზრდებს შორის ჩატარდა ერთდროულად. საქართველო ამ ასპარეზობაზე თავისი რჩეული ფალავნებით წარსდგა ორივე ასაკში. რჩეულები კი, მაშინ, მართლაც მრავლად იყვნენ საქართველოში. ნაკრებ გუნდებს ღირსეულ შეკსებას აძლევნენ საქართველოს რეგიონები.

სეროათზე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, სწორედ 1973 წელს ჭელიაბინჭის სსრ კავშირის თასის გამოშაშება დიდებსა და ახალგაზრდებს შორის ჩატარდა ერთდროულად. საქართველო ამ ასპარეზობაზე თავისი რჩეული ფალავნებით წარსდგა ორივე ასაკში. რჩეულები კი, მაშინ, მართლაც მრავლად იყვნენ საქართველოში. ნაკრებ გუნდებს ღირსეულ შეკსებას აძლევნენ საქართველოს რეგიონები.

მარცხნიდან: I **რიგში:** ვახტანგ ბლაგიდე, ედიშერ მაჩაიძე, ილია ცაბაძე, ზაზა გიგოლაშვილი, თენგიზ კოღუაშვილი, ვლადიკ გოგლიძე; II **რიგში:** თემურ ტურაშვილი, მიხეილ სალაძე, ომარ ბლიაძე, თამაზ მაკაიანაძე (გუნდის კაპიტანი), ზოთა მორჩილაძე, თემურ აფხაზავა, ავთანდილ მაისურაძე, ნიკოლოზ ბაზიაშვილი, ავთანდილ ჩალაური; **დგანან:** გურამ დათიაშვილი, კოტე ღუღუნიშვილი, ჯემალ მგელიაშვილი, იოსებ ბერიაშვილი, თემურ წინწყალაშვილი, გელა ქელაძე, ილია ჩხარტიშვილი (უფროსი მწვრთნელი), ავთანდილ კუხიანიძე, რომან რურუა, თემურ ლეკვეიშვილი, ვლადიმერ კანკავა, რაიდი აბრამიშვილი, თემურ ქურციკაძე, ზურაბ მაკარაშვილი.

ახლა კი გაგიკვირდებათ სსრ კავშირის ჩემპიონებს საქართველოდან ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში წლების მიხედვით.

1934, 1935 წლები — ლეონსკი
1936 — შალვა ჩიხლაძე
1952 — გიორგი ჩიტიაშვილი
1953, 1954, 1955 — გიგი კარტოფხია
1957 — როსტომ აბაშიძე
1960 — ზურაბ ღუდუშაური, დავით გვანცელაძე, როსტომ აბაშიძე

ბიძინა გუჭაბიძის ანგარიშზე კიდევ ერთი რვაათასიანი

ვიწყებთ ბეკეროდან ლი აკლიმატიზაციის შემდეგ. მიუხედავად ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა, 2006 წლის 10 მაისს, დილის 6 საათზე, ბიძინა გუჭაბიძე, ჩვ. მთამსვლელ ლეგენდასთან ერთად გავიდა მესაზე ბანაკიდან მწვერვალის შტურმისათვის, მაგრამ ლუბუშს ფსიქოლოგიურადაც და ფიზიკურადაც საკმაოდ გაუჭირდა, რადგან წინა დღით მაძნარეულიდან მოწყვა გერმანელი მთამსვლელი და მისი სხეული გარკვეით ნაწილზე გასაღელ ტრასაზე. ლუბუში უკან დაეშვა.

ბიძინამ ასევე გაბედარძო. მაძრუტზე მის წინ ორი ავსტრიელი და ერთი იტალიელი მთამსვლელი მოძრაობდა. იგი დაეწია მათ და რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ, ორ ავსტრიელ, ერთ იტალიელ და ერთ შერპასთან ერთად, ქართველმა მთამსვლელმა, 2006 წლის 10 მაისს, ფეხი შეადგა რა ჩო ოიუზე, მწვერვალზე საქართველოს დროშა აფრიალა. ქართული ალპინიზმის ისტორიაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საამაყო ფურცელი ჩაიწერა!

აღსანიშნავია, რომ 13 მაისს, ჩეხი მთამსვლელების ერთმა ჯგუფმა მოახერხა მწვერვალის ფერდობებზე ბანაკების აშენება, დანარჩენებიც უახლოეს დღეებში ამორეულნ შეურჩნენ.

ამჟამად, ბიძინა გუჭაბიძე საბაზო ბანაკიდან უკვე სოფელში ჩამოვიდა და ელოდება ჩეხი მეგობრების მწვერვალიდან დაბრუნებას. სავარაუდოდ, ისინი 21 მაისამდე უნდა ჩამოვიდნენ საბაზო ბანაკში, რადგან 22-23 მაისს კატმანდუდან სამშობლოში უნდა გამოფრინდნენ.

ბიძინა გუჭაბიძეს, მწვერვალზე ასვლის სიხარული ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე განცდილი, რომ საბაზო ბანაკში კიდევ ერთი მეტად სახიხარულო ამბავი შეიტყო – რეალური გახდა მისი დიდი ხნის ოცნება მწვერვალ K 2-ზე ჩოხვედრისა. იგი მიწვეულია ერთ-ერთ სურიონულ და მნიშვნელოვან ექსპედიციაში და თუ ყველაფერი გეგმაზომიერად წარიმართა, ბიძინა გუჭაბიძე, წლეულს, მსოფლიოს ამ უროლეს მწვერვალზეც სკდის ასვლას და დარწმუნებული ვარ, აქაც წარმატებას მიაღწევს.

ღმერთმა ხელი მოუმართოს ქართველ მთამსვლელთა ახალგაზრდ წარმომადგენელს, რომელსაც ალპინიზმის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოელენია.

დასასრულ, არ შეიძლება მადლობა არ გადავუხადოთ იმ პირებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავს იდეს ბიძინა გუჭაბიძის პიმალაებში გამგზავრებისა და ამ მეტად მნიშვნელოვან ექსპედიციაში მონაწილეობის ხარჯები. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ბიძინა გუჭაბიძის მუდმივი დამხმარე და ხელის შემწყობი კახინო "აჯარ"-ს ღვინო, ჭ. თბილისის მერიის სპორტის სამსახურის დახმარება, საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობა და ყველა იმ გუდშემატკივრის მხარში დგომა, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ მის მობრუნებას ბიძინა გუჭაბიძის პიმალაებში.

მაისის ბოლოს, მთელი საქართველო, თბილისი, მხურვალედ მოეგებება და გუდში ჩაიკრავს პიმალაის გმირს – ბიძინა გუჭაბიძეს, რომლის ხელმძღვანელობითაც და ვის მაგალითზეც კიდევ ალიზრდებიან სპორტული ალპინიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ამის უტეუარი დასტური კი ის გახლავთ, რომ საქართველოს ალპურ კლუბში, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, მოვიდა ახალი თაობა, შეიქმნა მთამსვლელთა სკოლა, სადაც თავის ცოდნას და გამოცდილებას უშურველად გადასცემს ახალებედ მთამსვლელებს.

ᲘᲒᲜᲐᲪᲘ ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲫᲔ,
საქართველოს მთამსვლელთა ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სახოგადოებრივი ტელევიზიისა და რადიოს მთავარი სპორტული მთავარსულების წამყვანი.

1962 — ომარ ეგაძე, დავით გვანცელაძე, როსტომ აბაშიძე
1963 — ომარ ეგაძე, რომან რურუა
1964 — ომარ ეგაძე, დავით გვანცელაძე, როსტომ აბაშიძე
1965 — რომან რურუა, დავით გვანცელაძე
1966 — დავით გვანცელაძე, თამაზ მაკაიანაძე
1967 — ომარ ეგაძე, რომან რურუა
1968 — ომარ ბლიაძე.

გაგრძელება იქნება

კოსტა მაისურაძე – დიდი წინაპარი!

საქართველოს პროფესიონალ ფალავანთა ამჟამინ XX საუკუნის დასაწყისში კიდევ ერთი გოლიათი შეემატა – კოსტა მაისურაძე. კოსტა მრავალმხრივი ათლეტი იყო და ხასწაულებს ახდენდა თავისი ძალის დემონსტრირებისას. ძველი დროის ფალავნები ჭიდაობის მანერით და ამა თუ იმ ოლეთს მაღალი ოსტატობით შესრულების უპირატესობით გამოირჩეოდნენ ერთმანეთისგან. კოსტა მაისურაძე სხვა მოჭიდავეებისგან ძლიერი ხელებით განსხვავდებოდა. ამიტომ დიდ წარმატებებს აღწევდა ე.წ. ფრანგულ, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. მისი ჭიდაობით იხიბლებოდნენ თბილისის ცირკებში, აზიის თუ ევროპის ცალკეულ ქვეყნებში. 1910 წელს ტრიუმფალურ გამარჯვებას მიაღწია თბილისის დიდ საერთაშორისო ტურნირში.

ძალიან დემონსტრირებას ახდენდა ცირკებში ჭიდაობის დაწყების წინ. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მნახველთა გაოცებას იწვევს დაგრძელი მაჯისხიშხო რკინა, რომელიც მას მკლავზე შემოხვევით დაუგრძია. კოსტა მაისურაძე ხალხის საყვარელი ფალავანი იყო: „როცა თბილისში გამართულ შეხვედრაზე კოსტამ მსოფლიოში აღიარებული ივან ზაიკინი დასცა სანჯღრო ხალიჩაზე, ან გაიმების აღსანიშნავად მთელი თბილისი ზეიმობდა. ორთაჭალის ბაღში დილის საათის შემდეგაც კარგა ხანს იმოძღა, თურმე, მოქეიფე თავადების და ვაჭრობისტების ხუფრული სიმღერების პანგები“ (გ. ბარჯაძე. „საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია“).

ანტიკური ოლიმპიადებიდან დღემდე

ოცდამეოცე ოლიმპიური თამაშები

ოცდამეოცე თამაშები. 2004 წელი გათამაშებული მედლების რაოდენობა

სპორტის სახეობა	ვაჟი	ქალი	სულ
1. აკადემიური ნიჩბოსნობა	8	6	14
2. ათლონობა	7	4	11
3. ბაიდარა და კანო	9	3	12
4. ბადმინტონი	3	2	5
5. ბალაბის ჰოკეი	1	1	2
6. ბატერი	1	1	2
7. ბეისბოლი	1	-	1
8. ველოსპორტი	2	2	4
9. ვოლეი-სანდო	1	1	2
10. ვოლეიბოლი	8	4	12
11. თანამედ. ხუთპრიო	1	1	2
12. კალათბურთი	1	1	2
13. კრივი	11	-	11
14. მაგიდის ჩოგბურთი	2	2	4
15. მძლეოსნობა	24	22	46
16. მშვილდოსნობა	2	2	4
17. სანიჩბოსნო სლალომი	3	1	4
18. სასტენული სპორტი	3	3	6
19. სინქრონული ცურვა	-	2	2
20. სოფთბოლი	1	1	2
21. ტაეკვონდო	4	4	8
22. ტანვარჯიში	8	6	14
23. ტრიათლონი	1	1	2
24. ტყორის სროლა	7	4	11
25. ფარიკაობა	6	4	10
26. ფრენბურთი	1	1	2
27. ფრენბურთი პლაჟის	1	1	2
28. ფეხბურთი	1	1	2
29. ჩოგბურთი	2	2	4
30. ცურვა	16	16	32
31. ცხენოსნობა	6	-	6
32. ძალოსნობა	8	7	15
33. წყალბურთი	1	1	2
34. წყალში ხტომა	4	4	8
35. ჭიდაობა-ბერძნ.რომ.	7	-	7
36. ჭიდაობა-თავისუფ.	7	4	11
37. ხელბურთი	1	1	2
38. ჯი. ტანვარჯიში	–	2	2
39. ძიუდო	7	7	14
სულ	176	125	301

ქალები და ოლიმპიური თამაშები

ძველბერძნულ ოლიმპიურ თამაშებში ქალები არ მონაწილეობდნენ. მათ ასპარეზობაზე დასწრებაც კი ეკრძალებოდათ.

ძველბერძნული ტრადიცია არც თანამედროვეობის პირველ ოლიმპიურ თამაშებზე დარღვეულა 1896 წელს. ეს დიდი შეცდომა უკვე მომდევნო, 1900 წლის თამაშებზე გამოსწორდა და იქიდან მოყოლებული ქალთა მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში სავალდებულო გახდა.

პირველი ქალი, რომელმაც ოლიმპიური ოქროს მედალი დაიმსახურა, იყო დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი, ჩოგბურთელი **შარლი (შარლოტა) კუპერი**, რომელმაც გაიმარჯვა 1900 წლის თამაშებში როგორც ერთეულთა, ასევე წყვილთა შეჯიბრებაში.

ოლიმპიური თამაშების პროგრამების ზრდასთან ერთად იზრდებოდა თამაშებში მონაწილე ქალთა რაოდენობაც. ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში ქალთა მონაწილეობა შემდეგ სურათს იძენეა.

ვიქტორინა

1. რომელ წელს დაარქვა პოკეშში საუკეთესო გუნდისთეის თასი ლორდ სტენლიმ?
ა — 1890 წელს
ბ — 1892 წელს
გ — 1906 წელს

2. ვინ მოიგო 2001 წელს „ფორმულა-1“-ში მაღალიის გრან პრი?
ა — რუბენს ბარიჩელომ
ბ — დეივ კულტჰარდმა
გ — მიხაელ შუმახერმა

3. რომელ წელს ჩატარდა ქალთა შორის პოკეშის პირველი მსოფლიო ჩემპიონატი?
ა — 1990 წელს
ბ — 1992 წელს
გ — 1993 წელს

4. ვინაა მსოფლიო რეკორდსმენი ტრამპოლინდაზე თხლეამურებით ხტომაში?
ა — ვიაჩესლავ ფორტუნა (პილსენიონი)
ბ — მარტინ შმიტი (ცერმ)
გ — კარლ შნაბლი (ავსტრია)

5. რომელ წელს დაარსდა ქალთა კალათბურთი აშშ-ში სენიორ ტურნირის ეტაპებად?
ა — 1866 წელს
ბ — 1867 წელს
გ — 1868 წელს

წინა ვიქტორინის პასუხები: 1-ა, 2-ბ, 3-ა, 4-ა, 5-ბ.

ᲘᲧᲝ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ ᲜᲔᲜᲐᲚᲘᲪᲘ ᲒᲐᲙᲐᲗᲠᲘᲚᲘ ᲛᲝᲠᲪᲮᲕᲐᲚᲔ

გასული საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევარში გმირობა ჩაიღინა ლენინგრადელმა მოცურავემ, ზემდეგმა ნიკიშინმა. დაზიანდა წყალბეში და რომელ ზედაც ის მსახურობდა. ზღვის ზედაპირზე ნიკიშინი სატრაეტო ასპარეზით ამოაგდეს. ორიენტირებად ვარსკვლავების გამოყენებით მან გასცურა 15-მდე კილომეტრი, მიაღწია ნაპირს და მოახერხა სარღლობას მომხდარის შესახებ. წყალქვეშა ნავი და მისი ეკიპაჟი გადაარჩინეს.

ᲒᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲮᲛᲝᲕᲘ.

საქართველოს ტანვარჯიშუმამა ხაზოგადებამ დაკარგა ერთერთი კოლორტული ფიგურა. გარდაიცვალა სპორტის დამსახურებული მუშაკი, ავტორის განათლების სამინისტროს ტანვარჯიშის სახეობათა სპორტული სკოლის ყოფილი დირექტორი, წლების მანძილზე აჭარის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი და რუსთაველის სახელობის აჭარის ჰუდაკოვიური ისტორიტეტის ფოლკლორის კათედრის გამგე გივი კოზმოვი.

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია, თბილისის მერის სპორტის საქმეთა სამსახურის ოლიმპიური მზადების ცენტრი „სანაპირო“, ტანვარჯიშის ოლიმპიური მზადების ცენტრი და განათლების სამინისტროს მ. გეგელაას სახელობის სპორტული სკოლა ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ გივი კოზმოვის ღარდაკლებას გამო და სამძიმარს უცხადებენ მის განსვენებულის ოჯახს.

ხონის ფეხბურთის ფედერაცია, სპორტკლუბი „იმერეთი“ და „ლელოს“ ფეხბურთის მემოზიდველი დემურ ტორაძე თანაგრძნობას უცხადებენ ეროვნული კატეგორიის მსაჯს ფეხბურთში დავით სანოძეს ბიძის გარდაცვალების გამო.

ინტერვიუ

ალა ივანოვა: დრო გადის...

დოსიე: დაიბადა 1946 წლის 17 მაისს თბილისში

სწავლობდა: ჭ თბილისის მე-20 სკოლაში

სპორტული მიღწევები: 1961 წელს გახდა სპორტის ოსტატი, რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა სპორტის ოსტატი და 1969 წელს სპორთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, სოფიაში ახალგაზრდა სტუდენტთა ფესტივალზე გამარჯვება. 1964 წლის ეუმბლდონის მონაწილეა. ინდოეთის და ავზის ჩემპიონი. ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და უნგრეთის სპორთაშორისო ტურნირის გამარჯვებული ახალგაზრდებს შორის.

◆ *ქალბატონო ალა, პირველ რიგში გთხოვთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე სიკეთეს. თუ შეიძლება, გვითხრათ, როგორ დაიწყო თქვენი სპორტული კარიერა?*

— მოლოკვისთვის უცნაშესი მადლობა. რაც შეეხება ჩემებურთის, 9 წლის ვიყავი თამაში რომ დავიწყე მშრომელ მარიამ კლიაშვილთან, რომელმაც არაერთი კარგი სპორტსმენი აღზარდა. მაგალითად, თეიმურაზ ყიფშიძე, ირინა ლერიშვილი და სხვ.

ცოტა ხანში მოვხვდი სამჭოთა კავშირის ნაკრებში და... დავრჩი და დავრჩი. სხვათა შორის, მწღეობაზეც დავდიოდი. მაგრამ ჩოგბურთი ვარჩიე და ამერ 51 წელიწადია ჩოგბურთელი ვარ.

◆ *თქვენი თაობის ჩოგბურთელებთან ვიხსენებ მეგობრობდით?*

— 12 წელიწადი სპბჭოთა კავშირის გუნდში ვიყავი, ყველას ერთმანეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. განსაკუთრებით ახლოს ვიყავი რენა ანტონოფთან, როგორ გითხრათ, ყველასთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი.

◆ *დიდი ხანია მავშვებთან მუშაობთ, ალბათ დიდ სიამოვნებას განიჭებთ მათთან ურთიერთობა.*

— ძალიან მიხარია მწვრთნელი რომ ვარ, 30 წელიწდაა მავშვებთან ვმუშაობ და მსურს აღვნიშნო ჩემნაირები და ჩემზე უკეთესი ჩოგბურთელები. მავშვებთან ურთიერთობა ეს არის სიხარული, ბედნიერება.

◆ *რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდეს მავშვებთან მომუშავე მწვრთნელი?*

— უნდა ჰქონდეს მოთმინების უნარი, უყვარდეს მავშვები, და, რაც მთავარია, თვითონ ბავშვს უნდა უხარიდეს სავარჯიშოდ მოსვლა.

◆ *ბევრი შეგირდი გყავთ?*

— კი, მსურველი უფრო ბევრია, მაგრამ დღეს ყველაფერი ფასიანია, რაც საგრძნობლად უშლის ხელს მასობრიობას.

◆ *ვინ იყო ჩოგბურთში თქვენი კერპი?*

— ჩემს დროს თამაშობდა ავსტრალელი ნოგბურთელი — მარია ბუტი, რომელიც ძალიან მიყვარდა, იყურებ სტვენა.

◆ *რა არის საჭირო მუშაობის გაგრძელებისთვის?*

— ფედერაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ ბავშვს უფრო მეტი სავარჯიშო დრო ჰქონდეს. ჩოგბურთი დიდ შრომას მოითხოვს, უამისოდ არაფერი გამოვა. დღესდღეობით ჩოგბურთი უფრო სწრაფი და დინამიური გახდა, ვიდრე ჩვენს დროს იყო.

◆ *რა აფერხებს უჭირაულს სპორტს თქვენს ცხოვრებაში, რა მოგვით მან?*

— მთელი ჩემი ცხოვრება — ეს არის ჩოგბურთი. უფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

◆ *რას დაამატებდით ჩვენს საუბარს?*

— დიდი მადლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას, ლეილა მესხს, ლალი ზურკოფს, ზურაბ ქცარაიას, ყველას, ვინც გაიხსენა ჩემი იუბილე და არ დამივიწყა. უღრმესი მადლობა ყველ.

ᲘᲚᲔᲜᲔ ᲔᲓᲔᲚᲮᲐᲠᲓᲘᲐ.

ᲡᲣᲠᲗᲐᲮᲘ: ალა ივანოვა (მარცხნივ) და რენა ანტონოფა

ლაპაზი ჩოგბურთი ლამაზ კორტებზე

თბილისის კეთილმოწყობილ სპორტულ ობიექტებს შორის, თავისი ხილაბამით, გამორჩეულად ოქცევს ყურადღებას კრწანისის სახოგბურთო კორტები, რომელმაც კიდევ უფრო დაამშვენა იქაურობა. მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, აქ ახლით მოზარდი ატარებს თავისუფალ დროს, მუშაობს სპორტული სექციები, ტარდება შეჯიბრებები. ამ დღეებში სწორედ ამ სპორტულ ბაზაზე დასრულდა შესანიშნავად ორგანიზებული სახოგბურთო სპორტკლუბის „ბიბილოსის" ღია პირველობა 180-მდე ჭაბუკისა და გოგონას მონაწილეობით ოთხ ასაკობრივ (1990-91, 1992-93, 1994-95, 1996-97 წ.წ.) ჯგუფში. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გამარჯვებულები არიან: ორინა ყარანგოზაშვილი, ნინო სუფაკაშვილი, მარიამ სამქანაშვილი, ეკა გორგოძე; ჭაბუკებიდან: შოთა მეფარიძე, ნიკა დოლიძე, შოთა პაიჭაძე, რეზო ოსაძე; მეორე პრიზიორები გახდნენ: ნინო დავითელაძე, ნინო მებუკაძე, ბაბუაღინა მაჩაიძე, ქეთი თეთრაძე; ჭაბუკებიდან: ნიკა ქურდაძე, დათო ხუციშვილი, ხანგრძლ დაელანიძე, აღე ქასანდრე ბაქში; მესამე ადგილზე გაეყენენ: ხოფო შარანგია, გვანცა რობაქიძე, ირინა თოიძე, მარი ჭიკაშვილი; ჭაბუკებიდან: სანდრო თოფურიძე, გიორგი იორდანიდი, გიორგი კვერნაძე, ნიკა იორდანიდი.

მარიამ სამქანაშვილი

კორტების დირექციამ (უფროსი ლევან ნოზაძე) საუკეთესო პირობები შეუქმნა მოპაპარეზეებს, რომელთა შორის ბევრი იყო ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან.

აღსანიშნავია, რომ 14 წლამდელებში გამარჯვებული ნარჩაზნი მონაწილეობას მიიღებს საფრანგეთის, პოლანდიის, ჩეხეთის და გერმანიის ᲘᲙატეგორიის ტურნირებში და ევროპის პირველობაზე თანატოლთა შორის.

რეზო ოსაძე

ცოტნე ბაძრაძე.

კიდევ ერთი სიკეთე...

ᲤᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲣᲖᲘ ᲔᲚᲔᲠᲘᲡᲐᲗ

ადრე საქართველო ყველაზე ჩამორჩენილი რესპუბლიკა იყო სსრ კავშირში საცურაო აუზების რაოდენობით. მდგომარეობა სასიკეთოდ გასული საუკუნის 60-80-იან წლებში შეიცვალა, როცა სასწავლო დაწესებულებებშიც და საწარმოებშიც გაჩნდა 25-მეტრიანი აუზები, გაიზდა ახალი საწვლისმო კომპლექსები.

საქართველოს პოლიტეხნიკური ინსტიტუტის საცურაო აუზი, თბილისში, კარგა ხანს წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციას. მერე, როცა სამჭოთა ხელისუფლება წარსულს ჩაბარდა, სხვა სპორტული ბაზების ბედი გაიზიარა ამ აუზმაც. სწორედ უბაზობით ჩაკვდა ჩვენში ცურვის მასობრიობა, მხოლოდ ენთუზიაზტთა ამარა დარჩა წყალში ხტომა, წყალბურთი, სინქრონული ცურვა. წყალბურთში ეროვნული ნაკრების სასწრებელი, საერთოდ, გაჭრა. ტრადიციების კვლავ აღორძინების იმედს ეი ნაცარში გაბუდული მეფეროვნების დაბუოფინების მთელი ამ ხნის მანძილზე შესანიშნავი სპეციალისტი და პატრიოტი კაცი **სოსო მაისურაძე**. ეს მან გადო ხიდი თაობებს შორის და მოზარდთა შესანიშნავი გუნდი მოამზადა — ჭაბუკთა ნაკრების ახალგაზრდულ ნაკრებად იქცა, ახალგაზრდული კი ეროვნული ნაკრების ხელისდგილი დღეა.

ეს ამბები იმიტომ გაგიხსენეთ, რომ გვინდოდა იმ სიკეთისთვის გაგვეცა ხაზი, რისი მოშენებაც სულ ახლახან გაგხდათ.

პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ზემოხსენებული საცურაო აუზი 15-წლიანი იჯარით გადაეცა სპორტის სახეობების ფედერაციას, კერძოდ, წყალბურთელთა გუნდს, რომელსაც სოსო მაისურაძე ამზადებს. წყალთა სახეობების ფედერაციის დიდი ხანი არაა, რაც სათავეში უდგას შესანიშნავი ორგანიზატორი და ქართული სპორტის სასიკეთო საქმეებად და საახლებს დასანერგად მუდამ შემართული **გიორგი უდესიანი**. ეს მისი ძალისმეყით გადაეცა სტე-ს აუზი წყალბურთელებს. „აუზს მაღე კეთილმოეწყობათ და ვიქცევთ წყალბერთში ეროვნული მომზადების ცენტრად. ცხადია, თავისუფალი დრო სპორტის წყალთა სახეობების სხვა წარმომადგენლებს და ცურვის მოყვარულებსაც დაეთმობათ" — გვითხრა გიორგი უდესიანმა.

ცოტნე ბაძრაძე

ფოტო – არქივიდან...

1979 წელი. ქ. ჩელიაბინსკი. საქართველოს მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრები, რომელმაც სსრ კავშირის „სიჭაბუკის თასის" გათამაშებაში დაიკავა პირველი ადგილი.

მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

ᲡᲠᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ჯგუფი B

პარაგვაი

ტერიტორია: 406 750 კვ კმ
მოსახლეობა: 6 მილიონი
დედაქალაქი: ასუნსიონი
ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 4 200 დოლარი
ფულადი ერთეული: გუარანი (100=0,02 დოლარი)
ენა: ესპანური
ფორმა — ძირითადი: მოსასური — წითელ-თეთრი (ზოლებანი) ტრუსები ლურჯი; სათადარიგო: თეთრი მოსასურები, თეთრი ტრუსები.
სარინეტკაცთა შემადგენლობა: ვილარი — ნუნესი, გამპა, კასტელსი, ფაბიო — დოს სანტოსი, ბარეტო, აკუნა, პერეიერი — სანტა კრუსი, ვალდესი.
მწვრთნელი ანიბალ რუისი.
პარაგვის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1906 წელს, ფიფას წევრია 1921 წლიდან. პრეზიდენტი ოსკარ პარისისი.
ლტების რიცხვი — 1500, ფეხბურთელების რიცხვი — 118920
ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 30, უძლიერესი კლუბები: „ოლიმპია", „სერა პორტენიო", „ცერანი".
შედეგები მსოფლიოს ჩემპიონატებზე: 1930 — მეორე ადგილი ჯგუფში. 1934-1938-1950 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1954 — შესარჩ. ტურნირი. 1958 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1962 — შეს. ტურნირი. 1966 — შეს. ტურნირი. 1970 — შეს. ტურნირი. 1974 — შეს. ტურნირი. 1978 — შეს. ტურნირი. 1962 — შეს. ტურნირი. 1966 — შეს. ტურნირი. 1970 — შეს. ტურნირი. 1974 — შეს. ტურნირი. 1978 — შეს. ტურნირი. 1982 — შეს. ტურნირი. 1986 — 1/8. 1990 — შეს. ტურნირი. 1994 — შეს. ტურნირი. 1998 — 1/8. 2002 — 1/8

ტრინიდადი და ტობაგო

ტერიტორია: 5,128 კვ კმ.
მოსახლეობა: 1,1 მილიონი
დედაქალაქი: პორტ-ოფ-სპეინი
ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 9500 დოლარი.
ფულადი ერთეული: დოლარი (1=0,15 აშშ დოლარს)
ენა: ინგლისური
ფორმა — ძირითადი: წითელი მოსასურები და ტრუსები, სათადარიგო: თეთრი მოსასურები, შავი ტრუსები.
სარინეტკაცთა შემადგენლობა: ჭაკინდრიფსი, ლოფერმანი, სანონ-ვედფილი, ჯონსი, იეი, ბერჩტული, უილლი — ჯონი, ორტი. მწვრთნელი ცეო ბეენსკერი (პოლანდია)
ტრინიდადის და ტობაგოს ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1908 წელს, ფიფას წევრია 1963 წლიდან. პრეზიდენტი ოლივერ კამპი. ლტების რიცხვი — 135, ფეხბურთელების რიცხვი — 27 692.
ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 51. უძლიერესი კლუბები: „პორტ-ოტ სტრაუნერს", „სან-ჰუან ჯაბლოტეინ", „უნიონალს კონეჯში".
შედეგები მსოფლიოს ჩემპიონატებზე: 1930 — 1934 — 1938 — 1950 — 1954 — 1958 — 1962 — 1966 — შესარჩევი ტურნირი. 1970 — შეს. ტურნირი. 1974 — შეს. ტურნირი. 1978 — შეს. ტურნირი. 1982 — შეს. ტურნირი. 1986 — შეს. ტურნირი. 1990 — შეს. ტურნირი. 1994 — შეს. ტურნირი. 1998 — შეს. ტურნირი. 2002 — შეს. ტურნირი.

შვედეთი

ტერიტორია: 449 964 კვ კმ.
მოსახლეობა: 8,9 მილიონი
დედაქალაქი: სტოკჰოლმი
ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 25 400 დოლარი
ფულადი ერთეული: შვედური კრონა (1=0,125 დოლარს).
ენა: შვედური
ფორმა — ძირითადი: ყვითელი მოსურები და ლურჯი ტრუსები. სათადარიგო: თეთრი მოსურები და ტრუსები.
სარინეტკაცთა შემადგენლობა: ისაკსონი — მელბერგი, ლუნინგი, ტ.ლუნდინი, ედმანი — იოჰანსონი, ლინდროტი, ა. სუნდსონი, ჯოლინდსონი — ჰ.ლარსონი, იბრაჰიმოვიჩი. მწვრთნელი ლარს ლაგერბეკი.
შვედეთის კავშირი ჩამოყალიბდა 1904 წელს, ფიფას წევრია 1907 წლიდან. პრეზიდენტი ლარს-ოკე ლაგერდი. ლტების რიცხვი — 3228. ფეხბურთელების რიცხვი — 576 408.
ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 14. უძლიერესი კლუბები: „გეტებორგი", „მალმო", „იურგორდენი".
შედეგები მსოფლიოს ჩემპიონატებზე: 1930-1934 — 1/4. 1938 — მეოთხე ადგილი. 1950 — მესამე ადგილი. 1954 — შეს. ტურნირი. 1958 — მეორე ადგილი. 1962 — შეს. ტურნირი. 1966 — შეს. ტურნირი. 1970 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1974 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1978 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1982 — შეს. ტურნირი. 1986 — შეს. ტურნირი. 1990 — მეოთხე ადგილი ჯგუფში. 1994 — მესამე ადგილი. 1998 — შეს. ტურნირი. 2002 — 1/8.

ინგლისი

ტერიტორია: 130 439 კვ კმ.
მოსახლეობა: 50,1 მილიონი
დედაქალაქი — ლონდონი
ერთობლივი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე: 25 300
ფულადი ერთეული: ინგლისური გირვანქა სტერლინგი (1=1,75 დოლარს)
ენა: ინგლისური
ფორმა — ძირითადი: თეთრი მოსურები და ლურჯი ტრუსები. სათადარიგო: წითელი მოსურები და თეთრი ტრუსები.
სარინეტკაცთა შემადგენლობა: ჯ. რიჩმონდი — ე. კოული, რ. ფერგიუსონი, ტერი, ჯ. ნევილი — ჯ. კოული, ლემპარდი, ჯერარდი, ბეკჰემი — ოუენი, რუნი.
ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1863 წელს. ფიფას წევრია 1905-1920 წლებში და 1045 წლიდან დღემდე. პრეზიდენტი ჯორჯ ტომპსონი. ლტების რიცხვი: 42 000, ფეხბურთელების რიცხვი: 3 310 700. ნაკრების ადგილი ფიფას რეიტინგში — 9. უძლიერესი კლუბები: „ჯელსი", „არსენალი", „ლივერპული", „მანჩესტერ იუნაიტედი".
შედეგები მსოფლიოს ჩემპიონატებზე: 1930-1934-1938-1950 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1954 — 1/4. 1958 — მესამე ადგილი ჯგუფში. 1962 — 1/4. 1966 — ჩემპიონი. 1970 — 1/4. 1974 — შეს. ტურნირი. 1978 — შეს. ტურნირი. 1982 — მეორე ადგილი ჯგუფში. 1986-1990 — მეოთხე ადგილი. 1994 — შეს. ტურნირი, 1998 — 1/8. 2002 —1/4

პუბლიკაცია მომზადა
ᲑᲘᲒᲘ ᲒᲐᲛᲠᲐᲫᲔᲡᲐᲒᲐᲜ
სპორტი – ყველასათვის

სპორტი ვეფერანთა საქმეცაა

მასობრივ სპორტს კიდევ ერთი ავტორი მხარდამჭერი გამოუჩნდა — საქართველოს ვეტერანთა საკრების დებარატმენტი, რომლის თავმჯდომარეც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე **ნუცრი ცაგარეიშვილი**. დეპარტმენტმა მინიფხბერთულოთა ასპარეზობა მოიცი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა ოლიმპიური სისტემით, რეგიონალური დებარტმენტების პრინციპით დაკომპლექტებულმა ნაკრებმა გუნდებმა თბილისელებთან ერთად მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური ტურნირი მოუწყიათის ბიში გამართეს განახლებულ „იმედის" მოედანზე. მეოთხედფინალური და ნახევარფინალური თამაშების შემდეგ ფინალში ალხაზეთისა და სამცხე-ჯავახეთის გუნდები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გაიმართკუნ აფხაზეთის წარმომადგენლობა 8-2, მესამე ადგილზე გავიდა შიდა ქართლის, მეოთხეზე — დებარატმენტის ნაკრები გუნდები.

საუკეთესო მეკარის პრიზი გადაეცა დათო ბაციკაძეს (შ. ქართა), თავდამსხმელის — ხვიჩა ქუთელაძის (აფხ), მცველის — გელა მანჯავიძის (შ. ქართა), საუკეთესო მოთამაშეებად მიინიშნეს: გიჩა შიქაშვილი, ნუცრი ცაგარეიშვილი (ორივე — ღეს), ბიძინა პირველი, მამეკა ბრეგაძე, თემურ დარჯანია, გია მორგაშვილი, ლაშა კაკუბავა (ყველა — აფხ), ანზორ ბერიძე (სამც. ჯავ), ზვიად ხაჩიკაშვილი (შ. ქართა).

პრიზები გამარჯვებულებს, პრიზიორებს და რჩეულ ფეხბურთელებს გადასცეს ნუცრი ცაგარეიშვილმა და გიჩა შიქაშვილმა. ტურნირი მიეძღვნა ფაშიზზე გამარჯვების 61-ე წლისთავს.

ᲯᲣᲛᲐᲚ ᲒᲐᲐᲜᲘᲜᲝᲜᲐ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი; საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე, რუსუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

მზერა ევროპისკენ

